რა არის საწყობი?

საწყობი არის ადგილი, სადაც შესაძლებელია დასაწყობდეს საქართველოში შემოტანილი/გასატანი უცხოური საქონელი ან ექსპორტში გასატანი უცხოური საქონელი ან ექსპორტში მოქცეული საქართველოს საქონელი. კერძოდ, საწყობში შესაძლებელია:

- საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის შენახვა;
- იმ საქონლის დროებით შენახვა, რომლის მიმართაც განსაზღვრულია ან არ არის განსაზღვრული სასაქონლო ოპერაცია;
- კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დროებით განთავსება.

რა არის საწყობის უპირატესობა?

- თქვენ შეგიძლიათ, ერთი ან რამდენიმე საწყობის გახსნისათვის წარადგინოთ მხოლოდ ერთი გარანტია 200 000 ლარის ოდენობით და შემდგომში ყოველი ახალი საწყობის გახსნისას დამატებითი გარანტიის წარდგენის ვალდებულება არ გექნებათ.
- საწყობში საქონლის შენახვის ვადა არ არის შეზღუდული
- შესაძლებელია საწყობში დროებით შენახული ან საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა საქონლის მესაკუთრესა და ნებისმიერ სხვა პირს შორის წერილობით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია შეიტანება დეკლარაციაში, რომელიც ცხადდება ძალადაკარგულად, ხოლო ახალი მესაკუთრის მიერ წარედგინება ახალი დეკლარაცია. ამასთან საკუთრების უფლების გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს რამდენჯერმე.

როგორ მოვიპოვო საწყობის ნებართვა?

საწყობის საქმიანობის ნებართვის მიღების მიზნით განცხადებით უნდა მიმართოთ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს (მის.: თბილისი, ვ. გორგასლის ქ. N16).

განცხადებას თან უნდა დაურთოთ:

✓ სანებართვო მოსაკრებლის – 1000 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (სანებართვო მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია ნებისმიერ ბანკში სახაზინო კოდზე 300 773 096);

✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან იჯარის/გირავნობის/უზუფრუქტის დამადასტურებელი დოკუმენტი;

✓ შენობის, მიწის ნაკვეთის სიტუაციური გეგმა;

✓ საბანკო გარანტია ან სადაზღვევო პოლისი 200 000 ლარის ოდენობით.

ნებართვა გაიცემა განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღეში.

ნებართვა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით. ამასთან, რაც თქვენ მოგეთხოვებათ საწყობის ნებართვის მოქმედების პერიოდში, ეს არის დასაწყობებული საქონლის აღრიცხვა ელექტრონულად.

თქვენ მიერ დასაწყობებული საქონლის შესახებ ელექტრონულად ატვირთული ინფორმაცია ონლაინ რეჟიმში ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემოსავლების სამსახურისათვის.